# კ ა ნ ო ნ ი

## ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის დაარსებისა.

I. დაარსებულ იქნეს რესპუბლიკის ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი, თანახმად ამ კანონთან დართული დებულებისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ მიზნისათვის გადაიდოს ყოველ წლიურად სახელმწიფო ხაზინიდან ერთი მილიონი ოთხმოცდა ცხრამეტი ათას რვაასი /I.099.800/ მანეთი თანახმად ამასთანავე დართული შტატისა.

3. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ა მ ხ ა ნ ა გ ი [signature]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს მოადგილე [signature]

საქართველოს ეროვნული არქივი

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტისა.

I. სახელმწიფო სტატისტიკის ყველა დარგის გასაერთიანებლად საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროსთან არსდება ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი.

2. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის მოქმედების საგანს შეადგენს:

I/ყოველგვარ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სასტატისტიკო სამუშაოთა წარმოება, როგორც მიმდინარე ხასიათისა, ისე ერთდროული გამოკვლევისა.

II/ადგილობრივ სასტატისტიკო სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელობა, სახელდობრ:

ა/ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლებთან ერთად შემუშავება პროგრამისა ყოველ იმ სასტატისტიკო გამოკვლევისათვის, რომელსაც აქვს საერთო ხასიათი და ამ საერთო პროგრამას ადგილობრივი პირობის მიხედვით შეეფერება;

ბ/სასტატისტიკო სამუშაოს მოწყობა ადგილობრივ.

III/შემუშავება როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივი ხასიათის ყოველგვარ სასტატისტიკო მასალისა.

3. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი შესდგება: თავმჯდომარისა, რომელსაც დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს რესპუბლიკის მთავრობა და ოთხი ფანყოფილების გამგეთაგან.

4. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტს აქვს ოთხი განყოფილება, რომლის სათავეშიაც სდგანან განყოფილების გამგენი:

ა/სამიწათმოქმედო... 

ა/საადგილმამულო, სასოფლო, სამეურნეო და ერობის სტატისტიკისა;

ბ/შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობისა;

გ/სატრანსპორტო და სასურსათო, და

დ/მცხოვრებთა და ქალაქთა სტატისტიკისა.

5. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს მიწათმოქმედების მინისტრი-კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წარდგენით; ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის დანარჩენ მოსამსახურეებს მიიღებს [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს ეროვნული არქივი

6. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობისათვის არსდება ცენტრალი სასტატისტიკო საბჭო შემდეგის შედგენილობით:

ა/თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს რესპუბლიკის მთავრობა;

ბ/თავმჯდომარის ამხანაგი-არჩეული საბჭოს მიერ მის წევრთა შორის;

გ/ქალაქ ტფილისის თვითმართველობის სასტატისტიკო ნაწილის წარმომადგენელი;

დ/სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარე და განყოფილებათა გამგენი;

ე/იმ შემთხვევაში, როცა განხილულ იქნება ისეთი საკითხი, რომელიც ერთ-ერთ უწყებას შეეხება-ერთი წარმომადგენელი იმ უწყებისა;

ვ/რესპუბლიკის ერობათა ერთობისა და ქალაქთა კავშირის თითო წარმომადგენელი მათი არჩევით;

ზ/სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი წარმომადგენელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბჭოში შეიძლება მიწვეულ იქნეს თავმჯდომარის მიერ სხვა პირნიც, თუ მათი მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში სასარგებლოდ მიჩნეული იქნება.

7. ცენტრალი სასტატისტიკო საბჭოს მოქმედების საგანს შეადგენს:

ა/სასტატისტიკო კომიტეტის მოსაზრებათა განხილვა განზრახულ სასტატისტიკო სამუშაოთა წარმოებისა, სამუშაოს პროგრამისა, ორგანიზაციისა და ხარჯთაღრიცხვისათვის;

ბ/განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ სასტატისტიკო ორგანოების დაარსებასთან და მათ ორგანიზაციაში ცვლილების შეტანასთან;

გ/სხვა საკითხები, რომელსაც საბჭოს წარუდგენენ ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტი და საბჭოს ცალკე წევრები.

8. ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოდ არსდება თანამდებობა მაზრისა და ქალაქის სტატისტიკოსებისა, რომელთაც დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს ცენტრალი კომიტეტის თავმჯდომარე სათანადო ერობის და ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით. მათი რიცხვი განისაზღვრება შტატით.

9. ამ დებულებასთან დართულია სათანადო შტატი.

1919 წ. ივლისის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს ეროვნული არქივი

## შ ტ ა ტ ი

## ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტისა.

| თანამდებობა. | თითოს | | ყველას | |
|---|---|---|---|---|
| | თვეში | წელიწადში. | თვეში | წელიწადში. |
| ცენტრალი სასტატისტიკო კომიტეტის გამგე . . . . . . . . . . . | 2000 | 24.000 | 2.000 | 24.000 |
| ჯ ა მ ი | | | 2.000 | 24.000 |
| განყოფილება, საადგილ-მამულო, სასოფლო-სამეურნეო, საერობო სტატისტიკისა. | | | | |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . | I.600 | I9.200 | I.600 | I9.200 |
| I. სტატისტიკისა . . . . . . . . . | I.350 | I6.200 | I.350 | I6.200 |
| 2 კონტროლიორი . . . . . . . . | I.I25 | I3.350 | 2.250 | 27.000 |
| I0 მთანგარიშე . . . . . . . . | 750 | 9.000 | 7.500 | 90.000 |
| ჯ ა მ ი | | | I2.700 | I52.400 |
| განყოფილება შრომისა და ვაჭრობა მრეწველობის სტატისტიკისა. | | | | |
| განყოფილების გამგე . . . . . . . . | I.600 | I9.200 | I.600 | I9.200 |
| I სტატისტიკოსი . . . . . . . . | I.350 | I6.200 | I.350 | I6.200 |
| I კონტროლიორი . . . . . . . . | I.I25 | I3.500 | I.I25 | I3.500 |
| 6 მთანგარიშე . . . . . . . . | 750 | 9.000 | 4.500 | 54.000 |
| ჯ ა მ ი | | | 8.575 | I02.900 |

საქართველოს არქივი

| თანამდებობა | თითოს | | ყველას | |
|---|---|---|---|---|
| | თვეში | წლიწადში | თვეში | წლიწადში |
| განყოფილება სასურსათო და სატრა-ნსპორტო სტატისტიკისა: | | | | |
| განყოფილების გამგე . . . . . . | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი . . . . . . . . | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 1 კონტროლიორი . . . . . . . . | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 4 მოანგარიშე . . . . . . . . | 750 | 9.000 | 3.000 | 36.000 |
| ჯამი | | | 7.075 | 84.900 |
| განყოფილება მცხოვრებთა სტატის-ტიკისა და ქალაქებისა: | | | | |
| განყოფილების გამგე . . . . . . | 1.600 | 19.200 | 1.600 | 19.200 |
| 1 სტატისტიკოსი . . . . . . . . | 1.350 | 16.200 | 1.350 | 16.200 |
| 1 კონტროლიორი . . . . . . . . | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 3 მოანგარიშე . . . . . . . . | 750 | 9.000 | 2.250 | 27.000 |
| ჯამი | | | 6.325 | 75.900 |
| კანცელარია: | | | | |
| 1 საქმისმწარმოებელი . . . . . | 1.125 | 13.500 | 1.125 | 13.500 |
| 1 ექსპედიტორი . . . . . . . . | 825 | 9.900 | 825 | 9.900 |
| 1 გადამწერი . . . . . . . . | 600 | 7.200 | 600 | 7.200 |
| 2 შიკრიკი . . . . . . . . . | 600 | 7.200 | 1.200 | 14.400 |
| ჯამი კანცელარიის ხარჯებისა . . . . | | | 3.750 | 45.000 |
| ცენტრალი სასტატისტიკო საბ-ჭო: | | | | |
| 1 მდივანი . . . . . . . . . | 600 | 7.200 | 600 | 7.200 |
| ჯამი | | | 600 | 7.200 |

საქართველოს ეროვნული არქივი

| თანამდებობა | თითოს თვეში | თითოს წლიწადში | ყველას თვეში | ყველას წლიწადში |
|---|---|---|---|---|
| მოსამსახურეთა საგზაო ხარჯები . . . . | | | | 20.000 |
| ბინის ქირა . . . . . . . . . . | | | | 3.000 |
| ტელეფონისა . . . . . . . . . . | | | | 900 |
| განათებისა . . . . . . . . . . | | | | 2.000 |
| გათბობისა . . . . . . . . . . | | | | 2.000 |
| წიგნთსაცავის შექენა, ჟურნალების დაბარება და სხვა . . . . . . . | | | | 2.000 |
| საკანცელარიო ხარჯი . . . . . . | | | | 10.000 |
| მოულოდნელი ხარჯები . . . . . . | | | | 10.000 |
| ჯამი | | | | 49.900 |
| დაბეჭდვა მიმოხილვისა . . . . . . | | | | 80.000 |
| ბლანკები და სხვახარჯი სტატისტიკისა | | | | 15.000 |
| ჯამი | | | | 95.000 |
| ადგილობრივი აგენტები: | | | | |
| 17 მაზრისა და ქალაქის სტატისტიკოსი . . . . . . . . . . | 1.350 | 16.200 | 22.950 | 275.400 |
| დღიური და საგზაო მაზრის სტატისტიკოსებს/თვეში ათი დღის მგზავრობის ვარაუდით 60 მან. დღიურ-სამგზავროდ/ . . . . . . . . | 600 | 7.200 | 10.200 | 122.400 |
| 2 ქალაქის სტატისტიკოსი . . . . | 1.350 | 16.200 | 2.700 | 32.400 |
| 2 მოგზაური სტატისტიკოსი . . . | 1.350 | 16.200 | 2.700 | 32.400 |
| ჯამი | | | 28.350 | 462.600 |
| სულ | | | 69.375 | 1.099.800 |

1919 წ. ივლისის 25-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს ეროვნული არქივი